სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მატჩი	ქუთაისის „ბაგრატი“ - წყალტუბოს „დინოზავრი“		
გუნდი	ქუთაისის „ბაგრატი“	შეჯიბრი	რეგიონალური ლიგა
მატჩის თარიღი	11/11/2023	მატჩის ადგილი	ქუთაისი,აია არენა
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
პიროვნება, სტატუსი		დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	ქუთაისის „ბაგრატი“		
☒მატჩის ოფიციალური პირი ☐პიროვნება	მატჩის მსაჯი, ლევან ბიბიჩაზე	დარღვევა	☐ აღიარებულია ☒ უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #3 : **სანქციები ჩაშლილი/შეწყვეტილი მატჩის შემთხვევაში;**	☐ **წითელი ბარათი** ☒ **საითინგი** ☐ **სხვა** თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	20/11/2023	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, ლევან ჩიკვაიძე, აკაკი კერესელიძე,ირაკლი ჩიქავა.		
დამრღვევის დასწრება	☐ **კი** ☒ **არა**	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი		აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მსაჯის, ლევან ბიბიჩაძის საითინგი		

დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მსაჯის, ლევან ბიბიჩაძე საითინგი;
2. მატჩის მეთვალყურის, გია რევიშვილის მატჩის ოქმი;
3. მატჩის მეთვალყურის, გია რევიშვილის სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
4. მატჩის ვიდეოჩანაწერი;
5. მატჩის მსაჯებთან, ლევან ბიბჩაძესთან და დავით ბალუაშვილთან (კიდის მსაჯი) ონლაინ შეხვედრის(ზუმი) ვიდეოჩანაწერი;
6. ქუთაისის „ბაგრატი“-ს წარმომადგენლებთან (თორნიკე იობიძე, შაკო კიკვაძე, გიორგი კიკვიძე) გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
7. ქუთაისის „ბაგრატი“-ს წერილი, ფოტო და ვიდეო მასალა.

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

1. გამოკითვის დროს ქუთაისის „ბაგრატი“-ს წარმომადგენელი არ დაეთანხმა მსაჯის მიერ ქუთაისის „ბაგრატი“-ს კაპიტნის გაფრთხილებას იმასთან დაკავშირებით რომ გუნდმა უნდა შექმნას სარაბო ატმოსფერო. მათი განცხადებით თამაშზე ტრიბუნები იყო სავსე, თამაში იყო სანახაობრივი, მაყურებელი ღებულობდა სიამოვნებას და მაყურებლების მხრიდან რაიმე შემახილს ვერავინ ვერ გააკონტროლებდა.

2. რაც შეეხება მთავარი მწვრთნელის და გვერდითი მსაჯის ინციდენტს, ქუთაისის „ბაგრატმა“ დადო ლელო, რომელიც იყო 100% ლელო. კიდის მსაჯმა კი ჩათვალა თამაშგარე, რასაც ბაგრატი-ს მთავრი მწვრთნელის მხრიდან, მოჰყვა შემდეგი რეპლიკა: „ამ ვიდეოს დავჭრი გადავაგზავნი სადაც საჭიროა და დაგატოვებინებ სამსახურს“.

3. ქუთაისის „ბაგრატი“-ს მოთამაშის თორნიკე იობიძის შესახებ წამომადგენლებმა განაცხადეს რომ, მსაჯი საითინგში წერს თითქოს იგი იყო აგრესიული და არაადეკვატური. აღნიშნულთან დაკავშირებით, ქუთაისის „ბაგრატი“-ს წამორმომადგენლებმა განაცხადეს რომ, თორნიკე ეუბნებოდა მთავარ მსაჯს „ლელო თუ არ არის თამაშგარე ხომ მაინც უნდა დაგებრუნებინაო, წინ თამაშის უპირატესობას რატომ მიუქმებო“. მსაჯმა კი ამის თქმის საშუალება არ მისცა თორნიკე იობიძეს და უჩვენა წითელი ბარათი, რის გამოც თორნიკე იობიძე შემოტრიალდა მსაჯისკენ, მაგრამ იგი გააჩერეს ქუთაისის „ბაგრატი“-ს მოთამაშებმა და გამოიყვანეს მოედნიდან.

4. ქუთაისის „ბაგრატი“-ს წარმომადგენლებმა განაცხადეს რომ, გარემო იყო უსაფრთხო, მაყურებელი არ შემოსულა, არავინ არ შეხებია არც მსაჯს, არც მოთამაშეებს და მიუხედავად ქუთაისის „ბაგრატი“-ს, წყალტუბოს „დინოზავრი“-ს და კომისრის თხოვნისა არ შეეწყვიტა თამაში, მსაჯმა არ გაითვალისწინა მათი თხოვნა.

5. ქუთაისის „ბაგრატი“-ს წარმომადგენლებმა როგორც ზეპირი გამოკითხვის დროს, ასევე წერილობით მომართვით აღიარეს დისციპლინარული დარღვევა და განაცხადეს რომ, მიუღებელია ყველანაირი რეპლიკა მსაჯის მიმართ და მისი გადაწყვეტილებების განხილვა.

ინდივიდუალურად უნდა დაისაჯოს ყველა მოთამაშე/მწვრთნელი, რომელმაც ჩაიდინა დისციპლინარული დარღვევა, თუმცა ამის გამო გუნდი არ უნდა დაისაჯოს.

6. ქუთაისის „ბაგრატმა“ წერილობით განცხადებით ითხოვა

ციტატა:

„საშეჯიბრო დებულების 10 პუნქტის მიხედვით, უნდა დაფიქსირდეს შეწყვეტისას არსებული ანგარიში, მაგრამ, ჩვენი აზრით, უნდა დაისაჯოს ყველა დამნაშავე ინდივიდუალურად, თამაში კი უნდა გაგრძელდეს 66 წუთიდან. არაერთი მსგავსი პრეცენდენტები ყოფილა სპორტის ისტორიაში. ეს იქნება სამართლიანი მიდგომა ორივე გუნდისთვის.“

ფაქტობრივი მოცემულობა და მსჯელობა

1. 11/11/2023 გაიმართა I ლიგის VII ტურის მატჩი ქუთაისის „ბაგრატი“-სა და წყალტუბოს „დინოზავრს“ შორის.
2. მატჩის მსაჯის, ლევან ბიბიჩაძის საითინგის და გამოკითხვის მიხედვით, იკვეთება სამი ეპიზოდი, რომელთა გამოც მსაჯმა მიიღო თამაშის შეწყვეტის გადაწყვეტილება. კერძოდ:
   I. თამაშის 36-ე წუთზე „დინოზავრმა“ მოახერხა ლელოს დადება, რაც გააპროტესტეს „ბაგრატი “-ს მოთამაშეებმა და გულშემატკივრებმა. კერძოდ, ტრიბუნიდან წამოსულ რეპლიკას „სანამ რამე არ მოხდება ეგენი არ გაჩერდებიან“, „ბაგრატი“-ს კაპიტანმა იური კენჭაძემ (#1) უპასუხა „ ვეუბნები არ გვისმენენ და ხომ არ შევაგინებ“. ამ რეპლიკის გამო იური კენჭაძე (#1) დაისაჯა ყვითელი ბარათით.
   II. თამაშის მე-2 ნახევრის მე-13 წუთზე მოხდა დაპირისპირება(გაწევ-გამოწევა) მოწინააღმდეგე გუნდებს შორის. წარმოქმნილი დაპირისპირების გამო, მსაჯმა ყვითელი ბარათებით გააძევა მოედნიდან „დინოზავრი“-ს კაპიტანი # 8 და „ბაგრატი“-ს #4. დაპირისპირების განმუხტვის შემდეგ, უკვე ერთმანეთს სიტყვიერად დაუპირისპირდნენ „ბაგრატი“-ს სათადარიგო მოთამაშეები, რომლებიც ხურდებოდნენ მოწინააღმდეგის ლელოს ჩათვლის ზონაში. მსაჯმა მოიხმო „ბაგრატი“-ს კაპიტანი (#1) და განუმარტა - როგორც მასაპინძელ გუნდს, უზრუნველეყოთ თამაშის შესაბამისი სათამაშო გარემოს შექმნა და გააფრთხილა მასპინძელი გუნდი რომ, თუ გაგრძელდებოდა ტრიბუნებიდან მსაჯების შეურაცხმყოფელი შეძახილები, მათ(მსაჯებს) მოუწევდათ თამაშის შეწყვეტა.
   III. თამაშის მეორე ნახევარში (66-ე წუთი) ბაგრატის მწვრთნელი, გაგა გურეშიძე არ დაეთანხმა კიდის მსაჯის (დავით ბალუაშვილი) გადაწყვეტილებას და მიმართა მას შემდეგი რეპლიკით „ამ მომენტს ამოვჭრი გავაგზავნი და სამსახურს დაგატოვებინებენ“. ამ რეპლიკის შესახებ, კიდის მსაჯმა მოახსენა მთავარ მსაჯს, რომელმაც იხმო „ბაგრატი“-ს კაპიტანი გასასაუბრებლად. მსაჯისა და კაპიტნის საუბარში ჩაერია „ბაგრატი“-ს მოთამაშე თორნიკე იობიძე (#8). მიუხედავად მსაჯის არაერთგზის მოწოდებისა გასულიყო და მიეცა მსაჯისთვის კაპიტანთან გასაუბრების შესაძლებლობა, თორნიკე იობიძე არ ემორჩილებოდა მსაჯის

მოთხოვნას და საბოლოოდ დატოვა მსაჯთან კამათის ადგილი შეძახილით „ ახლა გავალ !“. ხმამაღალი შეძახილის გამო, მსაჯმა წითელი ბარათი უჩვენა თორნიკე იობიძეს, რომელიც შორდებოდა შელაპარაკების ადგილს და როდესაც შეიტყო წითელი ბარათის შესახებ, მკვეთრად მოტრიალდა და გაიქაჩა მსაჯისკენ. თუმცა ის შეაჩერეს თანაგუნდელებმა და გაიყვანეს სათამაშო მოედნიდან.

3. ზემოთქმული ინციდენტების გამო მსაჯმა მიიჩნია რომ, მატჩის ოფიციალური პირებისთვის არ იყო უზრუნველყოფილი უსაფრთხო გარემო ქუთაისის „ბაგრატი“-ს მხრიდან და მიიღო თამაშის შეწყვეტის გადაწყვეტილება.
4. მსაჯის მიერ თამაშის შეწყვეტას არ მოჰყოლია „ბაგრატი“-ს მხრიდან არანაირი ქცევის კოდექსის დარღვევის ფაქტი.

მსჯელობა

1. სადისციპლინო კომისია, სხდომაზე წარმოდგენილი დარღვევებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის, დამხმარე მასალების და ფაქტობრივი გარემოებების განხილვის შემდეგ, მიიჩნევს რომ, მატჩის ოფიციალური პირების მიერ მოყვანილი არგუმენტები არ წარმოადგენს თამაშის შეწყვეტის საფუძველს, კერძოდ:
   - ✓ თამაშის შეწყვეტის მომენტში, როგორც მოთამაშე(ებ)ის, ასევე მაყურებლების მხრიდან არ ქონია ადგილი ისეთ ქმედებას, რომლის გამო საფრთხე დამუქრებოდა მსაჯების და მატჩის მონაწილეთა უსაფრთხოებას.
   - ✓ კონკრეტული ინციდენტი (თ. იობიძის ეპიზოდი), რომელიც მთ. მსაჯისთვის გახდა თამაშის შეწყვეტის საფუძველი, არის დისციპლინარული დარღვევა, რომელიც მალევე განიმუხტა და არ ქონია განგრძობითი ხასიათი, ვინაიდან ქუთაისის „ბაგრატი“-ს მოთამაშეებმა მყისიერად გაიყვანეს მოედნიდან თ. იობიძე.
   - ✓ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე **თ. იობიძის ეპიზოდზე** ქუთაისის „ბაგრატი“-ს სხვა მოთამაშეების, კლუბის წარმომადგენლების, ან/და მაყურებლების მხრიდან არ ქონია ადგილი აგრესიას, მუქარას ან სხვა რაიმე ისეთ ქმედებას, რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა მატჩის ოფიციალურ პირებს ან/და მოთამაშეებს.
   - ✓ კლუბ ქუთაისის „ბაგრატი“-ს კაპიტანი, მთავარი მსაჯის მიერ გაფრთხილებული იქნა: **ციტატა მთავარი მსაჯის საითინგიდან -** *„ჩემგან იქნა მოწოდება მსგავსი ინციდენტების განმეორების შემთხვევაში რაშიც მოიაზრებოდა ტრიბუნებიდან მსაჯების მიმართ არაერთგზის შეურაცხყოფა თუ ისევ განმეორდებოდა მსგავსი სცენარი მოგვიწევდა თამაშის შეწყვეტა“.* ხოლო მთავარმა მსაჯმა თამაში შეწყვიტა ერთპიროვნულად, **თ. იობიძის** ინციდენტის გამო, რასაც არგუმენტად დაურთო რომ, ქუთაისის „ბაგრატი“ გაფრთხილებული იყო აღნიშნულის შესახებ. ***ყოველგვარი ინტერპეტაციის გამოსარიცხად, კომისია განმარტავს: ეს არ ნიშნავს იმას რომ, მსაჯს არ აქვს ერთპიროვნულად თამაშის შეწყვეტის უფლება თუ მატჩის ოფიციალურ პირებს ექმნება საფრთხე მოედანზე.***

- ✓ საქმეში არსებული ვიდეო მასალის დეტალური შესწავლის შემდგომ, არ იკვეთება მატჩის ოფიციალური პირების მიმართ საფრთხის შემცველი რაიმე ქმედება. ასევე მატჩის შეწყვეტის შემდგომ, ქუთაისის „ბაგრატი“-ს წარმომადგენლების მხრიდან მატჩის დროზე ადრე შეწყვეტის მიუხედავად ადგილი არ ქონია რაიმე დისციპლინარულ დარღვევას.

კომისია განმარტავს რომ, მატჩის მონაწილეთა (მსაჯები, კომისარი, მოთამაშეები და სხვა ოფიციალური პირები) უსაფრთხოება არის უპირველესი. მოსალოდნელი საფრთხის შეფასება პიროვნების პირადი აღქმაა, თუ როგორ აღიქვა მან კონკრეტული ფაქტი ან მოვლენა, რომელიც შესაძლოა საფრთხის შემცველი ყოფილიყო თამაშის მონაწილეთათვის.

2. სადისციპლინო კომისიამ იმსჯელა ქუთაისის „ბაგრატი“-ს წერილობით მოთხოვნაზე

ციტატა:

„საშეჯიბრო დებულების 10 პუნქტის მიხედვით, უნდა დაფიქსირდეს შეწყვეტისას არსებული ანგარიში, მაგრამ, ჩვენი აზრით, უნდა დაისაჯოს ყველა დამნაშავე ინდივიდუალურად, თამაში კი უნდა გაგრძელდეს 66 წუთიდან. არაერთი მსგავსი პრეცენდენტები ყოფილა სპორტის ისტორიაში. ეს იქნება სამართლიანი მიდგომა ორივე გუნდისთვის.“

და ქუთაისის „ბაგრატს“ განუმარტავს მათ მოთხოვნასთან დაკავშირებულ საკითხზე შემდეგს:

- ✓ საქართველოს რაგბის კავშირის ეგიდით ორგანიზებული კაცთა, ქალთა და ჭაბუკთა შეჯიბრებების ჩატარების შესახებ დებულების მე-10 მუხლით გათვალისწინებულია მატჩების გადატანა და შეწყვეტის წესი. რაც შეეხება კლუბ „ბაგრატი“-ს მოთხოვნას, დაფიქსირდეს თამაშის შეწყვეტის მომენტში არსებული ანგარიში, დებულების 10.1.2. პუნქტით მკაფიოდ არის დადგენილი - მხოლოდ **ფორსმაჟორული სიტუაციის დროს, თამაშის შეწყვეტის შემთხვევაში თუ კლუბების (გუნდების) ნათამაშები დრო შეადგენს შესაბამისი შეჯიბრების მთლიანი სათამაშო დროის ¾-ს ან მეტს, ასეთ შემთხვევაში შეწყვეტილი თამაში არ გადაიდება და დაფიქსირდება თამაშის შეწყვეტისას არსებული ანგარიში.**
- ✓ 11/11/2023წ. I ლიგის VII ტურის მატჩი რომელიც გაიმართა ქუთაისის „ბაგრატი “-სა და წყალტუბოს „დინოზავრს“ შორის არ შეწყვეტილა ფორსმაჟორული გარემოებ(ებ)ის გამო. გამომდინარე აქედან, მათი მოთხოვნა მოკლებულია საფუძველს.

3. სხდომაზე წარმოდგენილი მასალებისა და მსჯელობის შემდეგად ჩამოყალიბებული არგუმენტების გათვალისწინებით, კომისიამ მხარი არ დაუჭირა

ა) მატჩის ოფიციალური პირების არგუმენტაციას თამაშის შეწყვეტის შესახებ;

ბ) ქუთაისის „ბაგრატი“-ს წერილობით მოთხოვნას, დაფიქსირდეს თამაშის შეწყვეტის დროს არსებული ანგარიში.

4. სადისციპლინო კომისია მიიჩნევს რომ, დარჩენილ სათამაშო დროში როგორც „ბაგრატს“ ასევე „დინოზავრს“ ქონდა რეალური შესაძლებლობა თავისთვის სასარგებლო ანგარიშით დაესრულებინა თამაში, რისი საშუალებაც მათ არ მიეცათ. აქედან გამომდინარე, კომისია თვლის - რომ არ დაირღვეს სამართლიანობის პრინციპი, გადათამაშდეს შეწყვეტილი თამაში.
5. სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 10.11 პუნქტით (ნებისმიერი საკითხი, რომელიც არაა გათვალისწინებული წინამდებარე რეგულაციით და/ან მის დანართებში, განიხილება ბუნებრივი სამართლის და სამართლიანობის ზოგად პრინციპებზე დაყრდნობით) და მიიღო შემდეგი

გადაწყვეტილება

1. 11/11/2023წ. I ლიგის VII ტურის მატჩი ქუთაისის „ბაგრატი “-სა და წყალტუბოს „დინოზავრს“ შორის გამოცხადდეს არშემდგარად.
2. გაბათილდეს თამაშის შეწყვეტისას დაფიქსირებული ანგარიში და სრკ-ს საშეჯიბრო სამსახურის I ლიგის მენეჯერს დაევალოს შეწყვეტილი თამაშის გადათამაშება უახლოს შესაძლო პერიოდში.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	22/11/2023

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.**